გარე მობილობის წინაპირობები და კრიტერიუმები (შემოდგომა 2026)

I. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ისტორია

   კანდიდატს **არ** უნდა ჰქონდეს დაგროვებული 180 კრედიტზე მეტი.

2. აკადემიური მოსწრება - 60 ქულა.
   აკადემიური მოსწრება ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

   - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები - 30 ქულა,
     სადაც 30 ქულა - თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიმდინარე სასწავლო წლის საუკეთესო ქულაა.
     იმ შემთხვევაში, თუ ვერ შეძლებთ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების დოკუმენტურად დადასტურებას, აღნიშნულ კრიტერიუმში დაგეწერებათ 0 ქულა;

   - აკადემიური მოსწრება - 30 ქულა,
     სადაც 30 ქულა იწერება, როცა ყველა გავლილ ან მიმდინარე საგანში კანდიდატს აქვს მიღებული მაქსიმალური შეფასება.
     იმ შემთხვევაში, თუ ვერ შეძლებთ წარადგინოთ ნიშნების ფურცელი, აღნიშნულ კრიტერიუმში დაგეწერებათ 0 ქულა.

3. გასაუბრება/მოტივაცია - 40 ქულა.
   გასაუბრებაზე შემოწმდება:
   - მოტივაცია, სფეროსადმი ინტერესი
   - კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარები
   - აკადემიური გამოცდილება
   - ეთიკის სტანდარტი

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 70 ქულა.

II. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ისტორია ან გეოგრაფია.მათემატიკაში მიღებული შეფასება უნდა იყოს 60%-ზე მეტი, გეოგრაფიაში მიღებული შეფასება უნდა იყოს 70%-ზე მეტი.

2. სამოტივაციო წერილი - 30 ქულა
   უნდა იყოს სტილისტურად გამართული და დაბეჭდილი

3. გასაუბრება - 40 ქულა
   გასაუბრებაზე შემოწმდება:
   - მოტივაცია, სფეროსადმი ინტერესი
   - კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარები
   - აკადემიური გამოცდილება
   - ეთიკის სტანდარტი

4. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები - 30 ქულა
სადაც 30 ქულა თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამის მიმდინარე სასწავლო წლის საუკეთესო ქულაა.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ შეძლებთ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების დოკუმენტურად დადასტურებას, აღნიშნულ კრიტერიუმში დაგეწერებათ 0 ქულა.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 70 ქულა.

III. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ისტორია ან გეოგრაფია ან სამოქალაქო განათლება. ამ საგნებში მიღებული შეფასება უნდა იყოს 70%-ზე მეტი.

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები - 10 ქულა,
   სადაც 10 ქულა თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო წლის საუკეთესო ქულაა;

3. სამოტივაციო წერილი - 30 ქულა
   უნდა იყოს სტილისტურად გამართული და დაბეჭდილი

4. გასაუბრება - 60 ქულა
   კრიტერიუმები:
   ა) მოტივაცია (30 ქულა)
   ბ) კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი (20 ქულა)
   გ) აკადემიური გამოცდილება (10 ქულა)

   ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 81 ქულა.

დამატებითი მოთხოვნები: ენის სერტიფიკატი ასარჩევ უცხო ენაში (არსებობის შემთხვევაში)

IV. კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ფიზიკა. ფიზიკაში მიღებული შეფასება უნდა იყოს 90%-ზე მეტი.

2. ტესტი მათემატიკაში - 70 ქულა
   გასაუბრების ეტაპზე მოსახვედრად კანდიდატმა უნდა დააგროვოს ტესტის მინიმუმ 50%

3. აკადემიური მოსწრება - 25 ქულა
   კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:
   - იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ მიღებული უარყოფითი შეფასება (F ან FX) ნებისმიერ ერთ STEM საგანში*, აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 0 ქულა და დაკარგავთ მობილობით გადმოსვლის შესაძლებლობას.
   - დანარჩენ შემთხვევებში აკადემიური მოსწრება შეფასდება თქვენი GPA-ს პროპორციულად, მაგალითად თუ თქვენი მიმდინარე GPA არის 3.6, მაშინ აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 22.5 ქულა.

4. გასაუბრება - 5 ქულა

გასაუბრებაზე მოსახვედრად კანდიდატმა უნდა დააგროვოს ტესტის მინიმუმ 50%.

გასაუბრებაზე შეფასდება:

- მოტივაცია, სფეროსადმი ინტერესი (2.5 ქულა)
- კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარები (2.5 ქულა)

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 4 ქულა .
ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

5. სამოტივაციო წერილი „რატომ უნდა ვისწავლო მაქსის კომპიუტერულ მეცნიერების პროგრამაზე "- ბონუს 1 ქულა

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილია და პასუხობს სათაურს - 1 ქულა.
- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი არ არის/ არ პასუხობს სათაურს - 0 ქულა.

სამოტივაციო წერილის მოცულობა - მაქსიმუმ 300 სიტყვა.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სტუდენტს შეიძლება დაენიშნოს დამატებითი გამოცდა.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 81 ქულა

* STEM = Science, Technology, Engineering, and Mathematics. STEM საგანია, ნებისმიერი საგანი დაკავშირებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან (მაგ. ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, სტატისტიკა, ლოგიკა), კომპიუტერულ მეცნიერებასთან, ასევე ტექნოლოგიებთან, ინჟინერიასთან და მათემატიკასთან.

V. ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ფიზიკა. ფიზიკაში მიღებული შეფასება უნდა იყოს 90%-ზე მეტი.

2. ტესტი მათემატიკაში - 65 ქულა

10 მათემატიკური ამოცანა, მათგან 7 სკოლის მათემატიკის სირთულის (35 ქულა); 4 - შედარებით რთული ამოცანა, შესაბამისობაში კალკულუსის საწყისებთან (30 ქულა);

გასაუბრების ეტაპზე მოსახვედრად საჭიროა ტესტის მინიმუმ 50%-ის გადალახვა.

3. აკადემიური მოსწრება - 30 ქულა.

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ მიღებული უარყოფითი შეფასება (F ან FX) ნებისმიერ ერთ STEM საგანში*, აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 0 ქულა.
- დანარჩენ შემთხვევებში აკადემიური მოსწრება შეფასდება თქვენი შეფასების სისტემით მიღებული ქულების საშუალოს პროპორციულად.

4. სამოტივაციო წერილი - ბონუს 1 ქულა.

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილია და პასუხობს სათაურს - 1 ქულა
- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი არ არის/ არ პასუხობს სათაურს - 0 ქულა

სამოტივაციო წერილის მოცულობა - მაქსიმუმ 300 სიტყვა

5. გასაუბრება - 5 ქულა

გასაუბრებაზე შემოწმდება:

- მოტივაცია, სფეროსადმი ინტერესი
- კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარები
- აკადემიური გამოცდილება
- ეთიკის სტანდარტი

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 81 ქულა

* STEM = Science, Technology, Engineering, and Mathematics. STEM საგანია, ნებისმიერი საგანი დაკავშირებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან (მაგ. ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, სტატისტიკა, ლოგიკა), კომპიუტერულ მეცნიერებასთან, ასევე ტექნოლოგიებთან, ინჟინერიასთან და მათემატიკასთან.

VI. შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ფიზიკა. ფიზიკაში მიღებული შეფასება უნდა იყოს 70%-ზე მეტი.

2. ტესტი მათემატიკაში - 55 ქულა.

   10 მათემატიკური ამოცანა, მათგან 7 სკოლის მათემატიკის სირთულის (28 ქულა); 3 - შედარებით რთული ამოცანა, შესაბამისობაში კალკულუსის საწყისებთან (27 ქულა);

   გასაუბრების ეტაპზე მოსახვედრად საჭიროა ტესტის მინიმუმ 50%-ის გადალახვა.

3. აკადემიური მოსწრება - 30 ქულა.

   კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

   - იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ მიღებული უარყოფითი შეფასება (F ან FX) ნებისმიერ ერთ STEM საგანში*, აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 0 ქულა.
   - დანარჩენ შემთხვევებში აკადემიური მოსწრება შეფასდება თქვენი შეფასების სისტემით მიღებული ქულების საშუალოს პროპორციულად.

4. სამოტივაციო წერილი - ბონუს 1 ქულა.

   კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

   - სამოტივაციო წერილი წარმოდგენილია და პასუხობს სათაურს - 1 ქულა
   - სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი არ არის/ არ პასუხობს სათაურს - 0 ქულა

   სამოტივაციო წერილის მოცულობა - მაქსიმუმ 300 სიტყვა

5. გასაუბრება - 15 ქულა.

   გასაუბრებაზე შემოწმდება:

   - მოტივაცია, სფეროსადმი ინტერესი
   - კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარები
   - აკადემიური გამოცდილება
   - ეთიკის სტანდარტი

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 71 ქულა

* STEM = Science, Technology, Engineering, and Mathematics. STEM საგანია, ნებისმიერი საგანი დაკავშირებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან (მაგ. ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, სტატისტიკა, ლოგიკა), კომპიუტერულ მეცნიერებასთან, ასევე ტექნოლოგიებთან, ინჟინერიასთან და მათემატიკასთან.

VII. სამართლის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ისტორია ან სამოქალაქო განათლება. მათემატიკაში მიღებული შეფასება უნდა იყოს 60%-ზე მეტი, სამოქალაქო განათლებაში მიღებული შეფასება უნდა იყოს 66%-ზე მეტი.

2. წერითი ანალიტიკური ნაშრომი (40 ქულა)
   კრიტერიუმები:
   ა) პრობლემის კრიტიკული ანალიზი (20 ქულა)
   ბ) პრობლემის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა (20 ქულა)

   გასაუბრებაზე დაბარება ხდება, თუკი წერით ნაშრომში კანდიდატი მიიღებს 24 ქულას ან მეტს

3. გასაუბრება (60 ქულა)
   კრიტერიუმები:
   ა) პროფესიისადმი ინტერესი (18 ქულა)
   ბ) კრიტიკული აზროვნების უნარი (24 ქულა)
   გ) თანმიმდევრულად მსჯელობის უნარი (18 ქულა)

   ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 70 ქულა

VIII. ფიზიკის საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ფიზიკა.ფიზიკაში მიღებული შეფასება უნდა იყოს 80%-ზე მეტი.

2. ტესტი მათემატიკაში
   ფიზიკის ტესტის დაწერისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს შესაძლო 100 ქულიდან 70 ქულა.

3. ტესტი ფიზიკაში
   ფიზიკის ტესტის წარმატებით ჩაბარებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს შესაძლო 100 ქულიდან 51 ქულა.

   ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

4. სამოტივაციო წერილი - ბონუს 1 ქულა.
   კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:
   - სამოტივაციო წერილი წარმოდგენილია და პასუხობს სათაურს - 1 ქულა
   - სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი არ არის/ არ პასუხობს სათაურს - 0 ქულა

   სამოტივაციო წერილის მოცულობა - მაქსიმუმ 300 სიტყვა

IX. სახვითი ხელოვნების, ვიზუალური კომუნიკაციის და ინტერიერის დიზაინის საბაკალავრო პროგრამები

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. ნამუშევრების (პორტფოლიოს) წარდგენასა და გასაუბრებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ მცირე 10 ნამუშევარი (შემოქმედებითი ტურის შესაბამისად).

   შეფასების კრიტერიუმები:

   - ნამუშევრების იდეა/კონცეფცია - 20 ქულა;
   - ინოვაციურობა და ორიგინალურობა - 20 ქულა;
   - კომპოზიცია - 15 ქულა;
   - ტექნიკური შესრულების უნარები - 15 ქულა
   - ვერბალური კომუნიკაცია და ვიზუალურ ხელოვნებაზე მსჯელობის უნარი -15 ქულა;
   - მოტივაცია -15 ქულა;

ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

მობილობის ფარგლებში აპლიკანტი არ ტვირთავს პორტფოლიოს ონლაინ პლატფორმაზე, არამედ ნამუშევრები, ჩანახატები (სკეჩბუქი) მოაქვს გასაუბრებაზე

მობილობის პირობები შესაბამისობაში იქნება ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის პროგრამაზე ბოლო მიღების დროს დადგენილი შემოქმედებითი ტურის მოთხოვნებთან

გასაუბრების წარმატებით გავლისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 70 ქულა.

X. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამები

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. კანდიდატს 2019 წლის მერე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჰქონდეს ჩაბარებული მათემატიკა ან ფიზიკა.

2. ნამუშევრების (პორტფოლიოს) წარდგენასა და გასაუბრებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ მცირე 8 ნამუშევარი (შემოქმედებითი ტურის შესაბამისად).

   შეფასების კრიტერიუმები:

   - ინოვაციურობა და შემოქმედებითობა: 20 ქულა
   - სივრცითი აზროვნება (სამგანზომილებიანი მოცულობის აღქმა, კომპოზიციის, პერსპექტივის და შუქ - ჩრდილების საბაზო პრინციპების ფლობა): 20 ქულა
   - სივრცითი იდეის სისტემური განვითარების უნარი: 20 ქულა
   - შესრულების ტექნიკური უნარები: 20 ქულა
   - კომუნიკაციის უნარები და მოტივაცია: 20 ქულა

მობილობის პირობები შესაბამისობაში იქნება არქიტექტურის პროგრამაზე ბოლო მიღების დროს დადგენილი შემოქმედებითი ტურის მოთხოვნებთან

არქიტექტურის პროგრამაზე, მობილობის აპლიკანტებს არ ეხებათ შემოქმედებითი ტურის მეორე ეტაპი - გრაფიკული ტესტი.

აპლიკანტებს, შესაძლოა დაევალოთ მოკლე შემოქმედებითი დავალება, კომისიასთან გასაუბრების შემდგომ.

გასაუბრების წარმატებით გავლისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 70 ქულა.

XI. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. გასაუბრება
   კრიტერიუმები:
   ა) მოტივაცია (60 ქულა)
   ბ) კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი (40 ქულა)

ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 80 ქულა.

XII. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ოპერაციების მენეჯმენტში

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. გასაუბრება
   კრიტერიუმები:
   ა) მოტივაცია (60 ქულა)
   ბ) კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი (40 ქულა)

ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 80 ქულა.

XIII. ფინანსების სამაგისტრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. გასაუბრება
   კრიტერიუმები:
   ა) მოტივაცია (60 ქულა)
   ბ) კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი (40 ქულა)

ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 80 ქულა.

XIV. ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. გასაუბრება
   კრიტერიუმები:
   ა) პროფესიისადმი ინტერესი (30 ქულა)
   ბ) კრიტიკული აზროვნების უნარი (40 ქულა)
   გ) თანმიმდევრულად მსჯელობის უნარი (30 ქულა)

   ასევე ყურადღება მიექცევა ეთიკის სტანდარტს.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 70 ქულა.

XV. სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. გასაუბრება
   კრიტერიუმები:
   ა) მოტივაცია (60 ქულა)
   ბ) კომუნიკაციისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი (40 ქულა)

კანდიდატის საკვლევი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა დაინიშნოს დამატებითი გასაუბრება ან ტესტი.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს ჯამში არანაკლებ 80 ქულა.